სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 150/3

ქ. თბილისი „11“ „10“ 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით, და მეორე მხრივ, შპს „სოფთლაინ საქართველო“ შემდგომში „მიმწოდებელი“, დირექტორის რევაზ ურუშაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA110023824) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2011 წლის ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მონაცემთა ბაზებისა და მეილსერვერის რეზერვირება–აღდგენის, კომპიუტერული სამუშაო ადგილების, სერვერული ინფრასტრუქტურისა და მეილსერვერის დაცვის, ვებფილტრაციის სერვერის ერთიანი პაკეტის (CPV48700000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი 58890 (ორმოცდათვრამეტი ათას რვაასოთხმოცდაათი) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 საქონლის აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტების: „ფასების ცხრილი“ (დანართი 2) და „მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები“ (დანართი 3)–ის შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

4.1. საქონლის მოწოდების ადგილი და ვადები განისაზღვრება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ თანდართულ დოკუმენტში – „მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები“ – მითითებული პირობების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 14.1 პუნქტით განსაზღვრული, ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი 1) სამ ეგზემპლარად.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში;

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.1.2. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი.

8.2.2 ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვეტილად ითვლება, აღნიშნულის შესახებ, მიმწოდებლისადმი გაგზავნილ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული ან სხვა ცვლილებების შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს მომსახურების შეწყვეტა (სრული ან არასრული მოცულობით), და შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა ვადაზე ადრე ან შეთანხმების გაფორმება.

10.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების შუალედურ და საბოლოო კონტროლს განახორციელებენ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი: ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ოლეგ პრესნოვი.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ზოგადი პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად (--- გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ხოლო ორი – „შემსყიდველთან“.

შემსყიდველი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.N144
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957

ირაკლი გიორგობიანი
მინისტრის პირველი მოადგილე

მომწოდებელი

შპს სოფთლაინ საქართველო“
ქ. თბილისი, ლეო ქიაჩელის N26
სს ბაზისბანკი
კოდი CBASGE22
ანგ. N GE02BS0000000037836432
საინდიფიკაციო კოდი 404867998

[illegible]
დირექტორი

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროს აპარატის ხარჯებისათვის
გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შესყიდული საქონლის
მიღება – ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი „ —— “ ———— 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, შემსყიდველი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ბატონი გიორგი გოგოლაძე
და, მეორე მხრივ, მომწოდებელი .....
(ორგანიზაციის დასახელება)

.....
(ხელმძღვანელის თანამდებობა; სახელი, გვარი)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ .....

.....

2011 წლის „ .....“ „ .....“ № ..... ხელშეკრულების პირობით

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

..... თვეში მოწოდებული საქონლის ღირებულებამ
(თვის დასახელება)

შეადგინა .....
(თანხა – ციფრებით და სიტყვიერად)

ნაზარდი ჯამით შესრულებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

საქონლის ღირებულება, ანაზღაურებულია .....
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

მიიღო	ჩააბარა
1. ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1. ხელმძღვანელი
2. პასუხისმგებელი შემსრულებელი	2. მთავარი ბუღალტერი
ბ. ა.	ბ. ა.

დანართი #2

27 სექტემბერი 2011 წ.

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება: **შპს „სოფთლაინ საქართველო“**

(ფასები მოცემულია ყველა გადასახადის ჩათვლით)

პოზიცია №	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	SYMC BACKUP EXEC 2010 SERVER WIN PER SERVER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	2	245,21	490,42
2	SYMC BACKUP EXEC 2010 AGENT FOR MSFT ACTIVE DIRECTORY WIN PER DOMAIN CONTROLLER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	1	245,21	245,21
3	SYMC BACKUP EXEC 2010 AGENT FOR MSFT EXCHANGE WIN PER SERVER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	1	245,21	245,21
4	SYMC BACKUP EXEC 2010 AGENT FOR MSFT SQL WIN PER SERVER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	4	245,21	980,84
5	SYMC WEB GATEWAY 5.0 PER USER SUB LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	800	18,33	14664,00
6	SYMC WEB GATEWAY URL FILTERING ADD-ON 5.0 PER USER SUB LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	800	16,01	12808,00
7	SYMC ENDPOINT PROTECTION 12.1 PER USER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND A	ცალი	360	8,26	2973,60
8	SYMC ENDPOINT PROTECTION 12.1 PER USER BNDL STD LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	330	18,23	6015,90
9	SYMC ENDPOINT PROTECTION 12.1 PER USER BNDL COMP UG LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	1310	10,05	13165,50
10	SYMC MAIL SECURITY FOR MS EXCHANGE ANTIVIRUS AND ANTISPAM 6.5 WIN 1 USER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND A	ცალი	360	12,47	4489,20
11	SYMC MAIL SECURITY FOR MS EXCHANGE ANTIVIRUS AND ANTISPAM 6.5 WIN 1 USER BNDL STD LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	40	22,65	906,00
12	True BusinessID with EV renewal 2 Year	ცალი	1	1906,12	1906,12

წინადადების ფასი: **58890,00** ლარი (ორმოცდა თვრამეტი ათას რვაას ოთხმოცდაათი)

შპს „სოფთლაინ საქართველო“ უზრუნველყოფს ამაჟამად სამინისტროს ლოკალური ქსელში არსებული მსგავსი პაკეტების - Symantec, AV Kaspersky Total Space Security, Geotrust SSL True BusinessID with Ev Certificate-ების მიგრაცია და სამინისტროს ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით მისი სრულყოფილი ინსტალაცია.

მიწოდების ადგილი: თბილისი, წერეთლის გამზ, #144, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

პრეტენდენტის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

შპს „სოფთლაინ საქართველო“ სოფთლაინ საქართველო "SOFTLINE GEORGIA" LLC 404867998

დანართი #3

მისაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები
(სატენდერო დოკუმენტაციია ტექნიკური დავალების შესაბამისად)

პოზიცია №	საქონლის დასახელება ად აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	მიწოდების ვადები
1	SYMC BACKUP EXEC 2010 SERVER WIN PER SERVER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	2	14 დღის განმავლობაში
2	SYMC BACKUP EXEC 2010 AGENT FOR MSFT ACTIVE DIRECTORY WIN PER DOMAIN CONTROLLER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	1	14 დღის განმავლობაში
3	SYMC BACKUP EXEC 2010 AGENT FOR MSFT EXCHANGE WIN PER SERVER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	1	14 დღის განმავლობაში
4	SYMC BACKUP EXEC 2010 AGENT FOR MSFT SQL WIN PER SERVER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND S	ცალი	4	14 დღის განმავლობაში
5	SYMC WEB GATEWAY 5.0 PER USER SUB LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	800	14 დღის განმავლობაში
6	SYMC WEB GATEWAY URL FILTERING ADD-ON 5.0 PER USER SUB LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	800	14 დღის განმავლობაში
7	SYMC ENDPOINT PROTECTION 12.1 PER USER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND A	ცალი	360	7 დღის განმავლობაში
8	SYMC ENDPOINT PROTECTION 12.1 PER USER BNDL STD LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	330	7 დღის განმავლობაში
9	SYMC ENDPOINT PROTECTION 12.1 PER USER BNDL COMP UG LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	1310	7 დღის განმავლობაში
10	SYMC MAIL SECURITY FOR MS EXCHANGE ANTIVIRUS AND ANTISPAM 6.5 WIN 1 USER RENEWAL BASIC 12 MONTHS GOV BAND A	ცალი	360	14 დღის განმავლობაში
11	SYMC MAIL SECURITY FOR MS EXCHANGE ANTIVIRUS AND ANTISPAM 6.5 WIN 1 USER BNDL STD LIC GOV BAND A BASIC 12 MONTHS	ცალი	40	14 დღის განმავლობაში
12	True BusinessID with EV renewal 2 Year	ცალი	1	14 დღის განმავლობაში

პრეტენდენტის ხელმოწერა

შპს "სოფთლაინ საქართველო" * SOFTLINE GEORGIA" LLC * 404867998